განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,4 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 20 373.9 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1475.5 ათასი ლარით (7.2%-ით).

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 18,023.9 ათასი ლარით;

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 8.0%-ით (1425.5 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2350,0 ათას ლარს;

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 2,2%-ით (50,0 ათასი ლარით) იზრდება.

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 354,0 ათასი ლარამდე, მათ შორის:
  - ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 354.0 ათასი ლარი;
- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 525,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ პროცენტები 350,0 ათასი ლარი.

    2023 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 105,8%-ით (180,0 ათასი ლარით) იზრდება.
  - ✓ რენტა 175,0 ათასი ლარი;

    2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტა 9,4%-ით (15,0 ათასი ლარით) იზრდება.
- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 320,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 20,0 ათასი ლარი;

- ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 300,0 ათასი ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან** განსაზღვრულია 400,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 25269.1 ათას ლარს. 2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან (18774.2 ათასი ლარი) შედარებით იზრდება 6494.9 ათასი ლარით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 9,623.3 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 480,0 ათასი ლარი;**
  - ✓ **წყლის სისტემების განვითარება -2,942.3 ათასი ლარი;**

    განხორციელედება შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. სოფელ თელაში (ე.წ. ტყის უბანი) სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.
2. სოფელ ნინიგორში (კიროვკა) სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.
3. სოფელ ცოდნისკარში II ქუჩაზე სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.
4. სოფელ არეშფერანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.
5. სოფელ ლაფნიანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.
6. სოფ. მსხალგორში წყალმომარაგების სისტემისა და წყალსადენის შიდა ქსელის მოწყობა

  - ✓ **გარე განათება - 1,395.9 ათასი ლარი;**

    განხორცილედება სოფელ ჰერეთისკარიდან მდ. ალაზნის მიმართულებით გარე განათების მოწყობის პროექტი.

  - ✓ **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია - 575,0ათასი ლარი;**

    სოფელ აფენის ადმინისტრაციულ ერთეულში მრავალფუნქციური დასასვენებელი სკვერის მოწყობა.

  - ✓ **შენობების ფასადების რეაბილიტაცია - 1014.5 ათასი ლარი;**

    ზაქათლის ქუჩაზე არსებული (N1 და N1ა) კორპუსების ფასადის და ეზოს რეაბილიტაცია.

  - ✓ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო** დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 370,0 ათასი ლარი.

    პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

  - ✓ **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები-** 1200 ათასი ლარი.

- ✓ **სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** - 250.3 ათასი ლარი.

  განხორციელდება სოფელ სვიდებაში სანიაღვრე არხის მოწყობა.

- ✓ **მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება** - 1,145.3 ათასი ლარი.

➢ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა** - 2,105.7 ათასი ლარი; მათ შორის:

- ✓ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა** - 1,782.9 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქისა და სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა.

- ✓ **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება** - 222.8 ათასი ლარი

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.

- ✓ **უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები** - 100,0 ათასი ლარი.

➢ **განათლება** - 4,795.7 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ **სკოლამდელი განათლება** - 4798,2 ათასი ლარი;

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით თანხები გაზრდილია 797,5 ათასი ლარით, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომელთა ხელფასის ზრდით;

- ✓ **წარმატებული პედაგოგის დაჯილდოება** - 2.5 ათასი ლარი.

➢ **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** - 2,133.1 ათასი ლარი მათ შორის:

- ✓ **სპორტის სფეროს განვითარება** - 498,9 ათასი ლარი;

  1. ზაქათლის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი სტადიონის რეაბილიტაცია.
  2. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა, ასევე ითვალისწინებს საქართველოს სახელით მოასპარეზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრში მოქმედ სპორტულ წრეებში აღზრდილი და ბოლო სამი წლის განმავლობაში ლაგოდეხში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოებას.

- ✓ **კულტურის სფეროს განვითარება** -1,329.0 ათასი ლარი;

  პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმისა და კულტურისა ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში

განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

- ✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა** - 53.2 ათასი ლარი;

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

- ✓ **„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების ინიციატივების“ დაფინანსება/თანადაფინანსება** - 55,0 ათასი ლარი.
- ✓ **წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება** - 140,0 ათასი ლარი.
- ✓ **საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება** - 35,0 ათასი ლარი
- ✓ **წარმატებული ქორეოგრაფიული ან/და ფოლკლორული ანსამბლების თანადაფინანსება** - 22,0 ათასი ლარი.

➢ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 1,580.4 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა** - 227,7 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2024 წელს სოციალური პროგრამების დაფინანსება იზრდება 175.2 ათასი ლარით და ხდება 1352,7 ათასი ლარი, მათ შორის;

- ✓ ჰემო დიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა -80.0 ათასი ლარი.
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 249.0 ათასი ლარი.
- ✓ სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება - 500.0 ათასი ლარი.
- ✓ უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა - 87.0 ათასი ლარი.
- ✓ მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა -160.0 ათასი ლარი.
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა -19.2 ათასი ლარი.
- ✓ ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 5.5 ათასი ლარი.
- ✓ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - 90.0 ათასი ლარი.

- ✓ უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება -56.0 ათასი ლარი.
- ✓ 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა -3.0 ათასი ლარი.
- ✓ სარიტუალო ხარჯი -15.0 ათასი ლარი.
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა- 78.0 ათასი ლარი.
- ✓ სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება- 10,0 ათასი ლარი.

➢ **მმართველობა - 5028.4ათასი ლარი, მათ შორის:**

- ✓ საკრებულოს დაფინანსება - 1363.0 ათასი ლარი;
- ✓ მერია - 3234.0 ათასი ლარი;
- ✓ სარეზერვო ფონდი - 250,0 ათასი ლარი;
- ✓ თანამშრომლების სწავლება გადამზადება - 35,0 ათასი ლარი;
- ✓ გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა 35,0 ათასი ლარი;
- ✓ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადასახდელი თანხა და ვალის მომსახურება 101.4 ათასი ლარი, მათ შორის ძირი 74.4 ათასი ლარი და პროცენტი - 27,0 ათასი ლარი.
- ✓ წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა - 10,0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი
	სულ ჯამი	25,269.1
01 01 01	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1363.0
01 01 02	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია	3234.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	0.0
01 01 04	თანამშრომელთა გადამზადების ხარჯი	35.0
01 01 05	გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა	35.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	250.0
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	10.0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	101.4
01 02 04	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებები	0.0
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	0.0
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	400.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	80.0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	142.1
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	2,800.2
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია	335.9
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	1,060.0
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	575.0
02 05 02	საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა	0.0
02 05 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	250.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი
02 05 04	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	1,014.5
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1,200.0
02 07	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	250.3
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	370.0
02 09 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები	515.3
02 09 02	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება	630.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,782.9
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	222.8
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	-
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	100.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4,795.7
04 04	წარმატებული პედაგოგის დაჯილდოება	2.5
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	341.0
05 01 02	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება	50.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	107.9
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	947.5
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	341.5
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	0.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	53.2
05 04	,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების ინიციატივების“ დაფინანსება/თანადაფინანსება	55.0
05 05	წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება	140.0
05 06	საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება	35.0
05 07	წარმატებული ქორეოგრაფიული ან/და ფოლკლორული ანსამბლების თანადაფინანსება	22.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	227.7
06 02 01	ჰემო დიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	80.0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	249.0
06 02 03	სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	500.0
06 02 04	უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა	87.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	160.0
06 02 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	19.2
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	5.5
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	90.0
06 02 10	უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება	56.0
06 02 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	3.0
06 02 12	სარიტუალო ხარჯი	15.0
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა	78.0
06 02 15	სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება	10.0

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 4,944.0 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 2,825.3 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 2,005.7 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 6,898.0 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 227.7 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია 1,581.0 ათასი ლარი;*
- *განათლება - 4,798.2 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 1,352.7 ათასი ლარი;*

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2024-2027 წლები);
2. ინფორმაცია 2023 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. მოქალაქის გზამკვლევი (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი და 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი).

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი